ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა

ნინო გოგოლაძე

ქალების ჩართულობა პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში ადგილობრივი თვითმმართველობების მაგალითზე

ნაშრომი შესრულებულია პოლიტიკის მეცნიერების ბაკალავრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: გიორგი მელიქიძე
ასისტენტ-პროფესორი

თბილისი
2025 წელი

ანოტაცია

საბაკალავრო ნაშრომი იკვლევს ქალების ჩართულობას პოლიტიკური გადაწყვეტილების პროცესში ადგილობრივი თვითმმართველობების მაგალითზე. ნაშრომი ფოკუსირებულია ორი მუნიციპალიტეტის მაგალითზე- რუსთავისა და გარდაბნის. ქალთა პოლიტიკური ჩართულობა წარმოადგენს პრობლემას გლობალურად განსაკუთრებით კი საქართველოში, რადგან უმეტესად ვხვდებით პოლიტიკოს კაცებს და ქალები ნაკლებად არიან ამ სფეროში ჩართულნი.კვლევისას გამოიყო კითხვები:.როგორ უწყობს ხელს ადგილობრივი თვითმმართველობები ქალთა პოლიტიკურ მონაწილეობას;. რა მნიშვნელობა აქვს ქალების ჩართულობას პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ადგილობრივ დონეზე; .რა შეგვიძლია გავაკეთოთ,რომ გავზარდოთ ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა. შესაბამისად გამოიყო დაშვება: მიუხედავად ქალთა რაოდენობის ზრდისა ჩართულობის მხრივ, ისინი რეალურ პოლიტიკაში ნაკლებად მონაწილეობენ, რაც განპირობებულია როგორც ინსტიტუციური ასევე კულტურულ-სოციალური ბარიერებით. კვლევის პროცესში გამოყენებულია თვისებრივი კვლევა, ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუები ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელ ქალებთან, თემის ექსპერტებთან. გამოყენებულია თემასთან დაკავშირებული რამდენიმე ლიტერატურის ანალიზი. ნაშრომი მიზნად ისახავს ქალების ჩართულობის ხარისხისა და ფორმების შესწავლას ადგილობრივ თვითმმართველობებში და არა მხოლოდ არსებული ვითარების აღწერას, არამედ გამომწვევი მიზეზების იდენტიფიცირებას. ნაშრომის ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ გამოვიკვლიოთ რა ბარიერები და შესაძლებლობები აქვთ ქალებს ადგილობრივ თვითმმართელობებში ჩასართავად; გაანალიზოს ქალების როლი გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე; წარმოადგინოს პრობლემის გადაჭრის შესაძლო გზები ქალთა პოლიტიკური ხელშეწყობის მიზნით.მიუხედავად არსებული წინსვლისა,ქალების მონაწილეობის დონე კვლავ მტკიცე პოლიტიკურ და ინსტიტუციურ მხარდაჭერას საჭიროებს.

საკვანძო სიტყვები: ბარიერები, გამოწვევები, პოლიტიკური გადაწყვეტილებები.

სარჩევი:

შესავალი 4

თავი I - თეორიული საფუძლები 9

თავი II - გენდერული პოლიტიკის საერთაშორისო პრაქტიკა..... 14

2.1 გენდერული თანასწორობის ცნება 14

2.2 გენდერული თანასწორობის ისტორიული და საერთაშორისო კონტექსტი 14

2.3 სკანდინავიური ქვეყნების გამოცდილება გენდერული პოლიტიკის სფეროში... 16

თავი III-საქართველოს გამოცდილება ქალთა ჩართულობის საკითხში …… 18

3.1 ქალთა ჩართულობის სამართლებრივი საფუძვლები საქართველოში 19

3.2 სტრუქტურული , კულტურული და ინსტიტუციური ბარიერები ქალების ადგილობრივ პოლიტიკაში ჩართულობისთვის 21

3.3 საზოგადოების დამოკიდებულება ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის შესახებ 23

თავი IV- ადგილობრივი თვითმმართველობების პრაქტიკა ქალთა პოლიტიკურ მონაწილეობაში(რუსთავისა და გარდაბნის ანალიზი) 26

4.1 ქალების წარმომადგენლობა რუსთავსა და გარდაბნის ადგილობრივ თვითმმართველობებში 26

4.2 რუსთავისა და გარდაბნის ადგილობრივი თვითმმართველობების კომპარტიული ანალიზი 27

დასკვნა …….. 30

გამოყენებული ლიტერატურა …… 34

დანართი N1 – ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუს კითხვარი.... 35

დანართი N2-ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუს კითხვარი ექსპერტთათვის 36

შესავალი

„ ქალებო, გაიღვიძეთ... აღმოაჩინეთ თქვენი უფლებები. ბუნების ძლევამოსილი იმპერია უკვე აღარ არის გარემოცული ცრურწმენებით, ფანატიზმით, განსჯამდელი შეხედულებებითა და სიცრუით...“ (ოლიმპია დე გუჟი, 1791).

თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოების ერთ-ერთი ძირითადი ღირებულებაა გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა, რაც რა თქმა უნდა მოქალაქეთა პოლიტიკურ პროცესებში თანაბარ ჩართულობას გულისხმობს. აუცილებელია ჩართულობის მექანიზმები აძლევდნენ მოსახლეობას იმის საშუალებას,რომ მონაწილეობა მიიღონ პროცესში და ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობა იყოს უზრუნველყოფილი.

მიუხედავად პროგრესული ნაბიჯებისა, საქართველოში, განსაკუთრებით ადგილობრივ დონეზე, ქალების პოლიტიკური ჩართულობა კვლავ გამოწვევად რჩება. თემის აქტუალობა განპირობებულია იმით, რომ ქალთა წარმომადგენლობა ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე არა მხოლოდ თანასწორობის პრინციპების დაცვას უკავშირდება, არამედ პოლიტიკის ხარისხის გაუმჯობესების შესაძლებლობასაც ქმნის.თანდათანობით რაც უფრო მეტი ქალი იღებს მონაწილეობას პოლიტიკურ პროცესებსა და დღის წესრიგში, მეტად ვიგებთ მათ ხმას, საჭიროებებს და შესაბამისად სრულიად იცვლება პოლიტიკური ფონიც.

ნაშრომი ეყრდნობა ორი მუნიციპალიტეტის მაგალითს-რუსთავსა და გარდაბანს. ფოკუსი მოცემულ ორზე შევაჩერე რამდენიმე მნიშნელოვანი ასპექტის გამო: 1. ადმინისტრაციული მნიშვნელობა და მოსახლეობის რიცხოვნობა- რუსთავი არის ერთ-ერთი დიდი ქალაქი საქართველოში, ხოლო გარდაბანი დიდი ტერიტორიის მქონე მუნიციპალიტეტია, რომელიც სტრატეგიულად ახლოსაა დედაქალაქთან. შესაბამისად ორივე მუნიციპალიტეტი არის აქტიური სტრუქტურა. ეს ყველაფერი საშუალებას მაძლევს გავაანალიზო ქალების პოლიტიკურ სფეროში მონაწილეობა როგორც ურბანულ, ასევე ნახევრად-სოფლის პირობებში.

2.რეგიონალური მრავალფეროვნება და სოციალურ-კულტურული ფონის კონტრასტი- მასში ვგულისხმობ იმას, რომ რუსთვი და გარდაბანი განსხვავებული დემოგრაფიული და კულტურული ფონით გამოირჩევიან. რუსთავი შედარებით

ჰომოგენური და ურბანულია, გარდაბანი კი ეთნიკური მრავალფეროვნებით გამოირჩევა. მართალია, ეთნიკურ უმცირესობებში არაერთი პრობლემაა, რაც თავისთავად მოქმედებს პოლიტიკურ ჩართულობაზეც, მაგრამ მე არ ვიკლევ ამ უმცირესობებს და მათში არსებულ სხვდასასხვა პრობლემებს, არამედ მაინტერესებს ადგილორივ თვითმმართველობაში მომუშავე ქალბატონების აზრი, რა ვითარებაა ქალთა ჩართულობის კუთხით, რა ბარიერები ხვდებათ და რა ხელშემწყობი ფაქტორები.
3. ქალების პოლიტიკური გაძლიერების ადგილობრივი პროგრამები- ბოლო წლებში რუსთავიცა და გარდაბანიც იყვნენ გენდერული თანასწორობისა და ადგილობრივი დემოკრატიის არაერთ პროექტში ჩართულნი(UNDP,2021). შესაბამისად მოცემული გარემოება მომცემს საშუალებასა და რეალურ საფუძველს შეფასდეს ამ პროგრამების მნიშვნელობა ქალებზე ადგილობრივ დონეზე, როგორც მმართველობით დონეზე, ასევე საზოგადოებრივ აქტივიზმშიც.

ამგვარად, შერჩეული ორი მუნიციპალიტეტი ქმნის სივრცეს, სადაც გენდერული, დემოგრაფიული, ეთნიკური ფაქტორები კვეთენ ერთმანეთს და განსხვავებული სოციალური ქსოვილის ანალიზით შესაძლებლობა გვეძლევა გავიგოთ როგორ მოქმედებს ქალების მონაწილეობაზე სტრუქტურული, ინსტიტუციური და კულტურულ-სოციალური ბარიერები.

საკვლევი საკითხიდან გამომდინარე, ნაშრომის მთავარი **მიზანია** შეისწავლოს ქალების ჩართულობის ხარისხი და ფორმები ადგილობრივი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, კონკრეტულად კი რუსთავისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტების მაგალითზე.

კვლევა მიზნად ისახავს არა მხოლოდ არსებული ვითარების აღწერას, არამედ გამომწვევი მიზეზების იდენტიფიცირებას, რათა შემდგომში შესაძლებელი გახდეს რეკომენდაციების შემუშავება ადგილობრივ დონეზე ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გასაუმჯობესებლად.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად განსაზღვრულ იქნა შემდეგი **ამოცანები**:

- გამოიკვლიოს, თუ რა ბარიერები და შესაძლებლობები აქვთ ქალებს ადგილობრივ თვითმმართველობებში ჩასართავად;
- გაანალიზოს ქალების როლი გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე;

- წარმოადგინოს პრობლემის გადაჭრის შესაძლო გზები ქალთა პოლიტიკური ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით.

ნაშრომის კვლევის **ობიექტს** წარმოადგენენ: რუსთავისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტების მოქმედი და ყოფილი ქალი საჯარო მოხელეები.

იმისათვის, რომ განხორციელდეს კვლევის მიზანი და ამოცანები, შემუშავებულ იქნა **საკვლევი კითხვები**:

1) როგორ უწყობს ხელს ადგილობრივი თვითმართველობები ქალთა პოლიტიკურ მონაწილეობას?

2) რა მნიშვნელობა აქვს ქალების ჩართულობას პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ადგილობრივ დონეზე?

3) რა შეგვიძლია გავაკეთოთ, რომ გავზარდოთ ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა?

კვლევის **დაშვება** მდგომარეობს იმაში, რომ მიუხედავად ადგილობრივ თვითმმართველობებში ქალთა რიცხოვნობის ზრდისა, ისინი ნაკლებად მონაწილეობენ რეალურ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებში, რაც განპირობებულია როგორც ინსტიტუციური, ისე კულტურულ-სოციალური ბარიერებით.

მართალია, პოლიტიკურ გადაწყვეტილებების პროცესში ჩართულობას ქალებისათვის განსაზღვრავს სხვა ფაქტორებიც, მაგალითად თემის ექსპერტი, სოციოლოგი ქალბატონი ლელა გაფრინდაშვილის აზრით, თვით ქალებს ურჩევნიათ მხარი დაუჭირონ და ხელი შეუყონ პოლიტიკურ წინსვლაში, ვიდრე თავად. ამის მიზეზი სუბიექტურია, მაგრამ მიუხედევად თვით ამ ქალების სურვილის არ ქონისა თუ შიშისა, მაინც ბოლო პერიოდში განსაკუთრებით გააქტიურდნენ და სურთ თავად გახდნენ პოლიტიკური პროცესების მონაწილეები. ამიტომ, მათ პოლიტიკური ლიდერობისკენ მიმავალ გზაზე უმეტესად ინსტიტუციური და კულტურულ-სოციალური ბარიერების გადალახვა უწევთ.

საკითხის უკეთ გასააზრებლად და გასაანალიზებლად ნაშრომის ფარგლებში განხორციელდა ცვლადების **ოპერაციონალიზაცია და კონცეპტუალიზაცია.** კერძოდ კი, შემაფერხებელი/ ბარიერული ფაქტორების გამოყოფით გავზომავთ ქალების ჩართულობა- მონაწილეობას.

პოლიტიკურ გადაწყვეტილებებში ვგულისხმობ ადგილობრივ თვითმმართველობებში რეგიონის განვითარებისათვის განხორციელებულ პროექტებს და მათში რამდენად იღებენ ქალები მონაწილეობას.

ბარიერებში იგულისხმება ის ფაქტორები იქნება ეკონომიკური, ოჯახის მხრიდან ზეწოლა-წინააღმდეგობა, არასკმარისი დრო თუ სხვა, რაც ხელს უშლით ქალებს ჩაერთონ , ხოლო გამოწვევებში იგულისხმება მონაწილეობა რაც თანდევს ყოველ სიახლეს და ამ გამოწვევას დადებითად აღიქვამენ თუ უარყოფითად ქალები.

ჩემი მსჯელობის და თემის გასამყარებლად მინდა მოვიხმო რამდენიმე ლიტერატურული წყარო. ისინი ეხება როგორც საერთაშორისო, ასევე საქართველოსა და უფრო კონკრეტულად ადგილობრივ დონეზე ჩატარებულ კვლევებს თემასთან მიმართებით. მათი ღრმა ანალიზის, დაკვირვებისა და კვლევების საფუძველზე იკვეთება სხვადასხვა ბარიერი, რაც ქალებს უშლის მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში. თითოეულ ლიტერატურას აქვს თავისი ნაკლოვანებებიც და უპირატესობებიც. მაგალითად ზოგი მხოლოდ ზოგად მონაცემებს ფარავს, ზოგი კი უშუალოდ ადგილობრივ დონეზეც გვაწვდის ინფორმაციას, ზოგს შეზღუდული დროითი მონაცემები აქვს, რამდენიმე ლიტერატურული წყარო რაოდენობრივ კვლევას გვთავაზობს და არა თვისებრივს, რაც აუცილებელია სიღრმისეულად კვლევისათვის.

ჩემს ნაშრომში წარმოდგენილი ლიტერატურა ქმნის მყარ თეორიულ და ემპირიულ საფუძველს საბაკალავრო ნაშრომისათვის.

მოცემული ნაშრომი ეფუძნება **თვისებრივ კვლევას,** რომლის მიზანია ქალების პოლიტიკური ჩართულობის ანალიზი ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე — კერძოდ კი, რუსთავისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტების მაგალითზე.

კვლევის სტრატეგიაა შემთხვევის კვლევა, რომელიც საშუალებას გვაძლევს ღრმა ანალიზი განხორციელდეს კონკრეტული დროის, სივრცისა და კონტექსტის ფარგლებში. შემთხვევის კვლევა მიზნად ისახავს ადგილობრივ რეალობაზე მორგებული დასკვნების გამოტანას და ასევე შესაძლო ზოგად ტენდენციებზე დაკვირვებას.

კვლევის პროცესში გამოვიყენე როგორც ქართული, ასევე უცხოური წყაროები და ლიტერატურა, რაც კიდევ უფრო მეტად დამეხმარა საკვლევი საკითხის გააზრებასა და დასკვნების ჩამოყალიბებაში.

მონაცემთა შეგროვების ძირითადი მეთოდი არის ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუები, რომლებიც ჩატარდა მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან, მათ შორის საკრებულოს წევრებთან და მერიის თანამშრომლებთან ,ამავდროულად თემის ექსპერტებთან.სულ გამოიკითხა 10 ადამიანი(5 რუსთავში, 5 გარდაბანში) და 2 ესპერტი, რომელთა შერჩევაც მოხდა მიზნობრივი შერჩევის პრინციპით (purposive sampling), იმისათვის, რომ მაქსიმალურად ინფორმირებული, კომპეტენტური და თემასთან მჭიდრო კავშირში რესპონდენტები ყოფილიყვნენ ჩართული.

ინტერვიუები დაფუძნებული გახლდათ წინასწარ შემუშავებულ კითხვარზე, რომელიც მოიცავდა შემდეგ საკითხებს: რესპონდენტების კარიერული გზა, გენდერული ბალანსი, მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, გამოწვევები და მხარდაჭერის მექანიზმები.

მონაცემების ანალიზი კი განხორციელდა შინაარსობრივი ანალიზის (content analysis) მეთოდით, რომლის ფარგლებშიც ტექსტური მასალებიდან გამოვლინდა ძირითადი თემატური ერთეულები და ტენდენციები. კვლევისას რა თქმა უნდა დაცული იყო ეთიკური სტანდარტები: რესპონდენტების ანონიმურობა და ინფორმირებული თანხმობა უზრუნველყოფილი იყო ინტერვიუს დაწყებამდე.

საბოლოოდ კვლევის მიზანი, რომ მომხდარიყო იდენტიფიცირება არსებული პრობლემებისა და შემუშავებული ყოფილიყო პრობლემის გადაჭრის შესაძლო ვარიანტები შესრულდა. დადასტურდა ის ფაქტი, რომ მათი მონაწილეობა ხშირად ფორმალური ხასიათისაა. ქალთა პოლიტიკურ რეალიზაციას აბრკოლებს გენდერული სტერეოტიპები, ოჯახური პასუხისმგებლობები, წარმოდგენები მათი ტრადიციული როლისა, ხშირად მიუწვდომელია მათთვის პოლიტიკური რესურსები. მიუხედავად ამ სირთულეებისა, რუსთავის მუნიციპალიტეტში ცვლილებების მუხტი ჩანს, პირველ რიგში, მერი ქალია, მეტად გამოდიან ქალები ინიციატივებით, არიან არაერთ წამყვან პოზიციებზე, იბრძვიან გადაწყვეტილების პროცესში მონაწილეობისთვის.

კვლევამ აჩვენა, რომ მიუხედავად პროგრესისა , ქალების რეალური მონაწილეობა

პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ადგილობრივ დონეზე კვლავ შეზღუდულია. მხოლოდ რაოდენობრივი ზრდა არ ნიშნავს რეალურ მონაწილეობას, მაგრამ რუსთავშიც და გარდაბანშიც ქალთა სურვილი და ინიციატივები იძლევა იმედისმომცემ ტენდეციას, რომ შემუშავდება სხვადასხვა რეფორმა, გახდება შესაძლებელი და საჭიროც ადგილობრივ დონეზე ქალების მონაწილეობა პოლიტიკაში.

თავი I-თეორიული საფუძვლები

ქალების ჩართულობის საკითხი, როგორც ადგილობრივ, ისევე ცენტრალურ მმართველობაში, წარმოადგენს დემოკრატიის ხარისხის ინდიკატორს. 21-ე საუკუნეში, როცა გენდერული თანასწორობა აღიარებულია როგორც ძირითადი პრინციპი ადამიანის უფლებათა სფეროში, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სწორედ ის საკითხი, თუ რამდენად რეალურად ასახავს პოლიტიკური პროცესები ქალების ჩართულობასა და ინტერესებს.

ქალების პოლიტიკური ჩართულობის ანალიზი ეფუძნება თეორიულ ჩარჩოს, რომელსაც წარმოადგენს ძირითადი მიმართულება: ლიბერალური ფემინიზმი. ლიბერალური ფემინიზმი ეყრდნობა პრინციპს, რომ ქალებს უნდა მიეცეთ ისევე თანაბარი უფლებები, როგორც კაცებს, მათ შორის პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის თვალსაზრისით. ამ თეორიით განპირობებულია გენდერული კვოტების, წარმომადგენლობითი მექანიზმების და სამართლებრივი თანასწორობის მოთხოვნა.

სწორედ ეს თეორია უმაგრებს ზურგს ჩემს საბაკალავრო ნაშრომს, რათა ავხსნა რომ ქალებსაც აქვთ უფლება და შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, თუმცა მათ არაერთი ხილული თუ უხილავი ბარიერის გადალახვა უწევთ.

შესაბამისად კვლევიდან გამომდინარე ლიბერალური ფემინიზმის თეორიული ჩარჩო ზუსტად ასახავს როგორც სოციალურ და ინსტიტუციურ ბარიერებს, ასევე უფლებების საკითხებსაც.

ამიტომ მოცემული თეორიული ჩარჩო მეხმარება, ავხსნა, რომ ქალებსაც და მამაკაცებსაც ერთნაირად ახასიათებთ გონიერება. შეგვიძლია ავხსნათ, თუ რა შეხედულებები უშლით ქალებს იყვნენ აქტიურნი ჩვენს შემთხვევაში პოლიტიკური

კუთხით, რა მოსაზრებები არსებობდა ქალების მიმართ და როგორ შეიცვალა სიტუაცია შემდგომ.

შესაბამისად ჩვენი მოლოდინები, რომ ქალებს არამხოლოდ ინსტანციური და ასევე ინსტიტუციური და სოციალური ბარიერები აფერხებენ მონაწილეობის მიღებისას, ნამდვილად გამართლდა და მოცემული თეორიული ჩარჩოებით ზუსტად აიხსნა.

ქალების პოლიტიკური მონაწილეობის შესახებ დამოკიდებულება როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივ სამეცნიერო სივრცეში თანთადათან მზარდ მნიშვნელობას იძენს.

Norris, P. & Inglehart, R. (2001). Cultural Barriers to Women's Leadership: A Worldwide Comparison- წარმოადგენს ნაშრომს, რომელიც იკვლევს კულტურულ და საზოგადოებრივ ღირებულებებს თემაზე, თუ როგორ აფერხებენ ან უწყობენ ხელს ქალების ლიდერულ პოზიციებზე დაწინაურებას სხვადასხვა ქვეყანაში. ფართო რაოდენობრივი მონაცემების საშუალებით მოცემულ ნაშრომში ვეცნობით, რომ გენდერული თანასწორობა კავშირშია სეკულარიზაციის დონესა და მოდერნიზაციასთან. ნორისა და ინგლეჰარტის ნაშრომი თავისი ღირებულებითი ანალიზითა და გლობალური გაანალიზებით ქმნის თეორიულ ჩარჩოს, იმისათვის რომ შესწავლილ იქნას ქალების პოლიტიკური მონაწილეობა. კვლევა განსაკუთრებით გამოსადეგია გენდერული ნორმების ანალიზისას. მიუხედავად ამ დადებითი ასპექტისა, ნაშრომი სამწუხაროდ ნაკლებად ასახავს რაიმე კონკრეტულ მექანიზმს და ასევე ინსტიტუციურ ასპექტებს, რაც ადგილობრივი კონტექსტისათვის აუცილებელიც კი შეიძლება იყოს. იგი უმეტესად ფოკუსირებულია მხოლოდ კულტურულ დონეზე.

ჩემი მსჯელობისა და თემის გასამყარებლად მინდა მოვიხმო Krook-ის ნაშრომი: Krook, M. L. (2009). Quotas for Women in Politics: Gender and Candidate Selection Reform Worldwide. კვოტირების პოლიტიკა მოცემულ ნაშრომში კარგად აღწერს, თუ როგორ აისახება სქესობრივი კვოტები საარჩევნო კანონმდებლობაზე, პარტიულ სისტემებსა და ქალების წარმომადგენლობით დონეზე. იქიდან გამომდინარე, რომ ნაშრომი გვთავაზობს სხვადასხვა ქვეყნის შედარებით ანალიზს, შესაბამისად განსხვავებული კვოტირების ტიპების ეფექტიანობას ვგებულობთ და ვცდით. პოლიტიკური თანასწორობის ხელშეწყობა და ფართო წარმოდგენის შექმნა ინსტიტუციური

რეფორმების მნიშვნელობაზე ნაშრომის მთავარი მიღწევაა, მაგრამ ამასთანავე უნდა აღვნიშნო, რომ ტექსტში ხაზგასმული არაა პოსტსაბჭოთა ქვეყნები. ეს კი გარკვეულწილად აფერხებს და ზღუდავს მის გამოყენებას საქართველოს კონტექსტში.

კვლევისათვის საინტერესო ლიტერატურად მივიჩნიე Dahlerup-ის ნაშრომი : Dahlerup, D. (2006). „Women, Quotas and Politics". ვინაიდან Dahlerup გენდერული კვოტების შესახებ ერთ-ერთი მთავარი და მნიშვნელოვანი თეორეტიკოსია. ძლიერი თეორიული ბაზა საფუძველს გვიქმნის, რომ განიმარტოს როდის, როგორ მუშაობს კვოტირება, ასევე განვიხილოთ ის მიზეზები , რომლებიც განსაზღვრავენ კვოტირების წარმატებასა და წარუმატებლობას. მოცემული ნაშრომიც ნაკლებად არის მორგებული ადგილობრივ თვითმმართველობებს, განსაკუთრებით კი მცირე მუნიციპალიტეტების დონეს.

გენდერულ უთანასწორობას ვხვდებით როგორც პოლიტიკურ ინსტიტუციებში, ასევე თავად პოლიტიკის მეცნიერების დისციპლინაშიც. ამის ნათელი მაგალითია სელის და ლოვენდუსკის ნაშრომი. ჰიპოთეზა იმის შესახებ , რომ ქალების პოლიტიკური ჩართულობა განპირობებულია სოციალური, კულტურული და ინსტიტუციური ბარიერებით კიდე უფრო მეტად განმტკიცებულია მოცემული ლიტერატურული წყაროთი. კვლევას საშუალებას გვაძლევს გავიგოთ ის ინსტიტუციური და ნორმატიული ბარიერები, რომლებიც ზღუდავენ ქალებს პოლიტიკური ლიდერობისკენ მიმავალ გზაზე .

მართალია, კვლევა არ ეხება კონკრეტულად ადგილობრივ თვითმმართველობებს და მეტად თეორიულია ვიდრე ემპირიული, ის მაინც გვთავაზობს ახალ შეხედულებას , აფართოებს მსჯელობას გენდერული დისკრიმინიზაციის შესახებ .

ამავდროულად აქტუალურია როგორც ევროპული ასევე პოსტსაბჭოთა კონტექსტისთვის . (Celis, K., & Lovenduski, J. (2018).

Bjarnegård, E. & Zetterberg, P. (2016)- ის ნაშრომი : ,,Political parties and gender quota implementation: The role of bureaucratized candidate selection processes." ამახვილებს ყურადღებას იმაზე, თუ როგორ მოქმედებს გენდერული კვოტების ეფექტიანობაზე პარტიული შიდა მექანიზმები . წარმატებული კვოტირება არ განისაზღვრება მარტო კანონით ან თუნდაც მხოლოდ პარტიული ნებით , არამედ შიდა პროცედურებით .

მოცემული ლიტერატურა დამეხმარა რომ გამეგო თუ რატომ ვერ მუშაობს კვოტირების სისტემა ეფექტიანად . ასევე ის გვთავაზობს სხვადასხვა ქვეყნის მაგალითზე ფართო შედარებით ანალიზს . იმისდა გამო , რომ ტექსტი შედარებით კომპლექსურია , მას სჭირდება დისციპლინური მომზადება და ამასთანავე ეს წყაროც ნაკლებად ეხება მუნიციპალურ დონეს.

საკვლევი თემიდან გამომდინარე საინტერესო ლიტერატურას წარმოადგენს საქართველოს შესახებ ანგარიში. UN Women & NDI (2014). Women's Political Participation in Georgia: Challenges and Recommendations. იგი საშუალებას იძლევა დავინახოთ თუ რა წარმოადგენს ჩვენს ქვეყანაში ბარიერს ქალთა პოლიტიკური ჩართულობისას. რატომაა პოლიტიკურ პროცესებში ქალების მონაწილეობის დაბალი დონე და ამავდროულად არსებული პოლიტიკის ეფექტიანობის ახსნასაც ვეცნობით. კულტურული სტერეოტიპები, ოჯახური დატვირთვა, პოლიტიკური ფინანსების სიმცირე ეს ის მცირე ჩამონათვლია იმ ბარიერთაგან, რასაც ქალები აწყდებიან პოლიტიკური მონაწილეობისას. მართალია ანგარიში ნაკლებადაა თორიულად გააზრებული და ძირითადად ინტერვიუებსა და სტატისტიკებზეა დამყარებული, მიუხედავად ამისა მისი დადებითი მხარე მდგომარეობს იმაში,რომ ორიენტირებულია საქართველოს მაგალითზე და იძლევა პოლიტიკის გასაუმჯობესებელ რეკომენდაციებს.

ჩემი თემის აქტუალურობის დასამტკიცებლად, კიდევ ერთი საინტერესო ლიტერატურაა მჭედლიშვილის „ გენდერული წარმომადგენლობა ადგილობრივ თვითმმართველობაში-საქართველოს მაგალითზე."(მჭედლიშვილი, ლ. (2018). გენდერული წარმომადგენლობა ადგილობრივ თვითმმართველობაში – საქართველოს მაგალითზე). საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობებში ქალების წარმომადგენლობითობის დონე, მთავარი ბარიერები, ეს ის საკითხებია, რომლებიც კარგად სტრუქტურირებული და გაანალიზებულია. თუნდაც კვლავ რეგიონული სტერეოტიპები, ფინანსური, განათლების პრობლემები, პარტიული სიები სხვადასხვა მუნიციპალიტეტის მაგალითზე კარგად არის აღწერილი. ნაშრომი ნათლად ასახავს ადგილობრივ დონეზე არსებულ კულტურულ და სტრუქტურულ პრობლემებს, მაგრამ კვლევა მეტად რაოდენობრივია და შესაბამისად ნაკლებად ჩანს ქეის-სტადიებისა და სიღრმისეული ინტერვიუების შედეგები.

თ. ჯაფარიძისა და ქ.ბარამიძის ნაშრომში თემაზე: „ქალების ჩართულობის ხელშეწყობა ადგილობრივ მმართველობაში:ქეისების ანალიზი რუსთავსა და გარდაბანში“, დამეხმარა კონკრეტულად ამ ორ მუნიციპალიტეტი გამოცდილება გამეცნო და გამეანალიზებინა. მიუხედავად იმისა, რომ მოცემული ნაშრომი ზუსტად არის შესაბამისი ჩემი თემის ფოკუსთან, მოიცავს მნიშვნელოვან თვისებრივ მასალას, მაინც აქვს ნაკლიც. იგი არ ფარავს დროით სპექტრსა და პოლიტიკურ პროცესებს. ის გვთავაზობს უფრო მოკლევადიან ანალიზს.

წარმოდგენილი ლიტერატურა ქმნის ჩემი საბაკალავრო ნაშრომისათვის მყარ ემპირიულ და თეორიულ საფუძველს. ზემოთ მოყვანილი პირველი სამი წყაროს (Norris, Krook, Dahlerup) დახმარებით გვეძლევა ის მნიშვნელოვანი თეორიული და გლობალური მნიშნელობა, რაც ქალთა პოლიტიკური მონაწილეობისათვის ზოგადი ტენდენციების, კვოტირების მნიშნელობისა და კულტურული ბარიერების გასაანალიზებლად არის აუცილებელი. მათი მეშვეობით განვსაზღვრე ის ღირებულებითი და სტრუქტურული ფაქტორები, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში უნივერსალურია და ამავე დროს მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქალთა პოლიტიკურ მონაწილეობასა და შესაძლებლობებში.

რაც შეეხება მეორე ნაწილს, ადგილობრივ და ქართულ წყაროებს, მათი მეშვეობით კონკრეტულად საქართველოს რეალობა შეგვიძლია დავინახოთ. მოიცავს როგორც სტატისტიკურ, ასევე თვისებრივ მონაცემებსაც და გვაძლევს ქვეყნის შიგნით არსებულ შესაძლებლობებსა და ბაიერებზე სიღრმისეულ წაროდგენას. ეს წყაროები დამეხმარა გამეანალიზებინა არსებული პრობლემები და ტენდენციები. განსაკუთრებით კი უნდა აღინიშნოს კონკრეტულად რუსთავისა და გარდაბნის მაგალითზე დაყრდნობილი ლიტერატურა, ვინაიდან ზუსტად პასუხობს ჩემი ნაშრომის კვლევით კითხვებზე. თითოეული მათგანმა მნიშნელოვნად გაამდიდრა ჩემი არგუმენტაცია და ანალიზი რუსთავისა და გარდაბნის მაგალითზე.

ამგვარად, მოცემული ლიტერატული წყაროები მაძლევს საშუალებას, რომ ერთდროულად გაოვიყენო როგორც პრაქტიკული მონაცემები, ასევე თეორიული მოდელები ქალთა ჩართულობის პრობლემების, ხარისხისა და შესაძლო გამოსავლების შესახებ. ეს სიმბიოზი კი მაძლევს საშუალებას დავასკვნა, ადგილობრივ

თვითმმართველობებში გენდერული თანასწორობის მიღწევა საჭიროებს არა მხოლოდ პოლიტიკურ რეფორმებს, არამედ ღირებულებითი და კულტურული განწყობების გარდაქმნასაც.

თავი II - გენდერული პოლიტიკის საერთაშორისო პრაქტიკა

ქალების პოლიტიკური მონაწილეობა წარმოადგენს მნიშვნელოვან ასპექტს დემოკრატიული მართვის სისტემებში. გენდერული თანასწორობის მიღწევა მრავალ ქვეყანაში პოლიტიკურ სფეროებში კულტურულ და ინსტიტუციერ ბარიერებთანაა დაკავშირებული. Norris და Inglehart (2001)- ის ნაშრომში კარგად ჩანს გენდერული პოლიტიკის საერთაშორისო პრაქტიკა. ავტორები აღნიშნავენ, რომ საერთაშორისო პრაქტიკაში ქალების პოლიტიკურ ლიდერობისკენ მიმავალ გზაზე ერთ-ერთ ძირითად ბარიერს კულტურული ღირებულებები წარმოადგენ. ეს კი განსაკუთრებით თვალსაჩინოა ისეთ ტრადიციულ საზოგადოებაში, რომელშიც უპირატესობა კვლავ მამაკაცების ლიდერობისკენაა მიმართული: “In countries where traditional gender roles are strongly endorsed, women are significantly underrepresented in positions of political leadership” (Norris & Inglehart, 2001, p. 132).

2.1 გენდერული თანასწორობის ცნება

გენდერულ თანასწორობაში იგულისხმება პრინციპი, რომ კაცებსა და ქალებს უნდა ჰქონდეთ თანაბარი უფლებები, შესაძლებლობები და პასუხისმგებლობები ყველა სფეროში. იქნება ეს პოლიტიკური, სოციალური თუ ეკონომიკური. გაეროს 1979 წლის კონვენცია „ქალთა ყველა სახის დისკრიმინაციის აღმოფხვრის კონვენცია“(CEDAW) არის გენდერული თანასწორობის საერთაშორისო სამართლებრივი საფუძველი გენდერული თანასწორობისა. დღესდღეისობით გენდერული თანასწორობა გაწერილია მნიშნელოვან დოკუმენტებში, როგორიცა მდგრადი განვითარების მიზნები(SDG 5) და ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის სხვადასხვა მნიშვნელოვან დოკუმენტებში.

2.2 გენდერული თანასწორობის ისტორიული და საერთაშორისო კონტექსტი

გენდერული თანასწორობის მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში საკითხი საუკუნეების განმავლობაში განსხვავებულად ვითარდებოდა. დასავლურ ქვეყნებში ქალების ბრძოლა პოლიტიკური უფლებებისათვის XIX საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო , რაც გამოიხატა ფემინისტური მოძრაობების გაჩენაში და ხმის მიცემის უფლებების

მოთხოვნაში. ფემინისტური პოლიტიკის თეორიები სწორედ ხაზს უსვამენ, რომ პოლიტიკა ისტორიულად მამაკაცურ სივრცეს წარმოადგენდა, სადაც ქალები არა მხოლოდ ფორმალურად იყვნენ გამორიცხულები, არამედ კულტურულადაც. მაგალითად, კეროლ პეტმანის "საზოგადოებრივი ხელშეკრულების" კრიტიკა აჩვენებს, რომ ტრადიციული ლიბერალური თეორიები მოქალაქეობისა და მონაწილეობის შესახებ არ ითვალისწინებდნენ ქალების როლს (Pateman, 1988).

აღსანიშნავია, რომ 1893 წელს ახალი ზელანდია გახდა პირველი ქვეყანა, რომელმაც ქალებს მიანიჭა ხმის მიცემის უფლება. შემდგომში ამას მოჰყვა მსგავსი ცვლილებები აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში, სკანდინავიის ქვეყნებში და სხვა დემოკრატიულ სახელმწიფოებშიც.

საერთაშორისო დონეზე გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისათვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს CEDAW — „ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია", რომელიც გაეროს ეგიდით 1979 წელს იქნა მიღებული. იგი ავალდებულებს სახელმწიფოებს მიიღონ ისეთი ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს ქალთა უფლებების დაცვას და მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

რაც შეეხებათ ევროკავშირის ქვეყნებს, აქ გენდერული თანასწორობის სტანდარტები მაღალია და მათში აქტიურად გამოიყენება კვოტირების სისტემა. ეს თავისთავად უზრუნველყოფს ქალების წარმომადგენლობას პოლიტიკურ სტრუქტურებში. მაგალითად, შვედეთში პარლამენტის წევრების ნახევარზე მეტი ქალი იყო 2022 წლის მონაცემებით. მის მსგავსად, რუანდამაც შეძლო ქალების მაღალი წარმომადგენლობა საკანონმდებლო ორგანოში, რაც განაპირობა სახელმწიფოს პოლიტიკურმა ნებამ და საკანონმდებლო გარანტიებმა.

საქართველო კი 1994 წელს შეუერთდა CEDAW-ს და მას შემდეგ კანონმდებლობის დონეზე არაერთი ცვლილება განხორციელდა გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად. მაგრამ, პრაქტიკაში ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი პრობლემები რჩება. ესაა— ქალთა დაბალი ჩართულობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, სისტემური ბარიერები და სტერეოტიპული დამოკიდებულებები, რაც ქვეყნის განვითარების პროცესს აფერხებს.

ცვლილებების მისაღწევად კი საჭირო მხოლოდ ინდივიდუალური ქალების ყოფნა არაა პოლიტიკაში, არამედ მათ უნდა ჰქონდეთ მნიშვნელობა და საკმარისი რაოდენობრივი წარმომადგენლობა, რაც საშუალებას მისცემს მათ მოახდინონ დღის წესრიგის ფორმირება (Dahlerup, 1988).

ამას კიდევ უფრო მეტად ადასტურებს Bjarnegard და Zetterberg(2016)-ის ნაშრომი:"Political parties and gender quota implementation: The role of bureacratized candidate selection processes". ავტორების აზრით, უმეტესწილად გენდერული კვოტების წარმატება იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენადაა გამჭირვალე და ამავდროულად რამდენად არის მექანიკურად გაწერილი პარტიის მიერ კანდიდატების შერჩევის პროცესი. რა თქმა უნდა, კვოტირება არ ნიშნავს თავისთავად იმას, რომ ქალთა რეალური მონაწილეობა პოლიტიკაში გაძლიერდება. უბრალოდ მისი და მსგავსი მექანიზმების არარსებობა კიდევ უფრო მეტად შეზღუდავს ქალთა მონაწილეობას პოლიტიკური გადაწყვეტილებების პროცესში.

საერთაშორისო გამოცდილებით კიდევ ერთხელ მტკიცდება, რომ მხოლოდ რიცხოვნული ზრდა არაა საკმარისი ქალების ეფექტიანი პოლიტიკური მონაწილეობისათვის, თუ არ იარსებებს შესაბამისი ინსტიტუციური გარემოც.

2.3 სკანდინავიური ქვეყნების გამოცდილება გენდერული პოლიტიკის სფეროში.

ქალთა პოლიტიკური ჩართულობის გაზრდა სხვადასხვა ტიპის კანონდებლობის, პოლიტიკისა და მექანიზმების გზით არის მიღწეული არაერთ ქვეყანაში. ერთ-ერთი გამორჩეული და წლების განმავლობაში ლიდერი გენდერული თანასწორობის მაღალი დონით სკანდინავიური ქვეყნები გახლავთ, რაც როგორც სოციალური და ეკონომიკური უფლებების რეალიზაციის ,ასევე პოლიტიკური მონაწილეობის მაღალი დონით გამოიხატება. მაგალითად, შვედეთში აქტიურადაა მიმართული სახელმწიფოს პოლიტიკა ქალების ლიდერობის მხარდჭერისაკენ, პარტიული სტრუქტურების შიგნით გამოიყენება გენდერული კვოტა, შესაბამისად მის საარჩევნო სიებში თანაბრად არიან წარმოდგენილი ქალები და კაცები. ნორვეგიაში პარტიული გენდერული კვოტები მოქმედებს. ჯერ კიდევ 1981წელს პირველად მსოფლიოში, ნორვეგიამ დანიშნა ქალი პრემიერ-მინისტრად(Gro Harlem Brundtland). აღსანიშნავია რუანდაც, რომლის

პარლამენტიც მსოფლიოში გამოირჩევა ერთ-ერთ ყველაზე მაღალ ქალთა წარმომადგენლობით და ამავდროულად კონსტიტუციითაც აქვთ განსაზღვრული მინიმუმ 30%-იანი კვოტა.

ფინეთში არის მიღებული ისეთი მოდელი, რომელიც განსაკუთრებით გამოირჩევა გენდერული თანასწორობის სისტემური ინტეგრაციით განათლების სისტემაში. ეს თავისთავად ხელს უწყობს ახალგაზრდების გენდერულად მგრძნობიარე პოლიტიკურ კულტურას(Kantola, 2006). ასევე ფინეთში მხოლოდ პარლამენტის წევრობით არ შემოიფარგლება ქალების პოლიტიკური მონაწილეობა, არამედ ასევე მნიშვნელოვანი თანამდებობები აქვთ ფინანსთა და თავდაცვის სამინისტროებშიც.

საინტერესოა დანიისა და ისლანდიის შემთხვევებიც, ვინაიდან ისინიც ლიდერობენ გენდერული ბალანსის პოლიტიკის მხრივ. განსაკუთრებით კი ისლანდია, რომელმაც 2010 წელს მსოფლიოში პირველად მიიღო კანონი, რაც ავალდებულებს მართვის დონეზე კომპანიებს დაიცვან გენდერული ბალანსი. 2021 წელს კი ის გახდა პირველი ქვეყანა, სადაც უკვე კანონით განისაზღვრა ვალდებულება თანაბარი ანაზღაურების უზრუნველყოფისა.

ეს მაგალითები ცხადყოფს, რომ საჭიროა ჰოლისტური მიდგომა, როგორც საგანმანათლებლო, ასევე სამართლებრივი და ეკონომიკური, სისტემური მიდგომები.

გენდერული თანასწორობის მიღწევა პოლიტიკაში იგულისხმება არა მხოლოდ ქალების რაოდენობრივ წარმომადგენლობა, არამედ მათი რეალური ჩართულობის შესაძლებლობას გადაწყვეტილების მიღების პროცესშიც.

ამრიგად, გენდერული თანასწორობა არის დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი მთავარი ფასეულობა. პირველ თავში განხილულია ზოგადი ინფორმაცია გენდერული თანასწორობის ცნების შესახებ, ასევე ისტორიული და საერთაშორისო გამოცდილება, რამაც ნათლად დაგვანახა, რომ მხოლოდ ფორმალური სამართლებრივი გარანტიით შეუძლებელია განსაზღვრა, არამედ საჭიროა როგორც პოლიტიკური, ასევე ღმა სტრუქტურული და კულტურული ცვლილებები.

პირველი ქვეთავი დაეთმო გენდერული თანასწორობის ცნობას, ვინაიდან წარმოდგენა შეგვქმნოდა თუ რას მოიაზრებს იგი, მეორე ქვეთავი საერთაშორისო გამოცდილებას, ხოლო მესამე და ერთ-ერთი მნიშვნელოვანია სკანდინავიური

ქვეყნების გამოცდილება, როგორც წარმატებული მოდელი გენდერული ინტეგრაციისა. ისინი წარმოადგენენ პრაქტიკის საუკეთესო მაგალითებს, სადაც გედნერული თანასწორობა მხოლოდ დეკლარაცია არაა, არამედ ეს არის ინსტიტუციონალიზებული მმართველობითი პრინციპი. როგორც თემის ექსპერტთან ქალბატონ ლელა გაფრინდაშვილთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა , დასავლური ქვეყნების გამოცდილების გააზრება მნიშვნელოვანია, რადგან დაინახოს სახელმწიფომ სარგებელი როგორც პარტიისათვის, ქვეყნისა და საზოგადოებისთვისაც.

ამგვარად, მეორე თავის შეჯამების სახით შეიძლება ვთქვათ, რომ გენდერული თანასწორობის მიღწევისათვის საჭიროა არა მხოლოდ საერთაშორისო ვალდებულებები, არამედ ღრმა სისტემური ცვლილებები. თუკი დავუკვირდებით სკანდინავიური ქვეყნების გამოცდილებას, დავინახავთ, რომ პროგრესი შესაძლებელია.

თავი III -საქართველოს გამოცდილება ქალთა ჩართულობის საკითხში.

საქართველოში ქალები შეადგენენ ქვეყნის მოსახლეობის ნახევარზე მეტს , დაახლოებით 53%-ს,მაგრამ მათ არაერთ პრობლემასთან შეჭიდება უწევთ.

ჩვენს ქვეყანაში ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის განვითარება და გენდერული თანასწორობის საკითხები მიმდინარეობდა პარალელურად ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში.

გატარებული გენდერული პოლიტიკა ქაღალდზე პროგრესულია, მაგრამ უმეტესწილად მაინც პრაქტიკაში მეტად ხშირია ფორმალური მიდგომები. ამაში იგულისხმება ის, რომ ქალები უმეტესად მარგინალურ პოზიციებზე არიან და არა გადამწყვეტზე. ჩემი აზრით, კრიტიკულად უნდა შეფასდეს თვითონ პარტიების დამოკიდებულება ქალთა რეალური გაძლიერებისათვის და შემუშავდეს ჩართულობის უფრო ეფექტური პოლიტიკა, რომელიც კონკრეტულად იქნება გათვლილი რეგიონალურ განსხვავებებზე. ვფიქრობ, არსებული სიტუაცია შედარებით პროგრესულად მიედინება, ვხედავ წინსვლებს განსაკუთრეით რუსთავის რეგიონში, ცენტრალურ დონეზეც ვხვდებით არაერთი ქალი ახალგაზრდის გააქტიურებას. პოლიტიკურ სკოლებშიც აქტიურად არიან გოგონები ჩართულნი, მაგრამ ეს ყველაფერი არ ნიშნავს, რომ რეალური ძალაუფლება მათ ხელშია, ჯერ კიდევ წამყვან

თანამდებობეზე, მერიის წარმომადგენლებად, მინისტრებად და ასე შემდეგ კვლავ კაცები არიან.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2019წლის ანგარიშის მიხედვით, 2019 წელს უმაღლესი სასწავლებელი დახლოებით დაამთავრა 11 ათასმა ადამიანმა, რომელთაგანც კაცების ხვედრითი წილი იყო 50.1%, ხოლო ქალების პროცენტული მაჩვენებელი 49.9%. (საქართელოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2019წლის ანგარიში. https://www.geostat.ge/media/29875/Higher-and-Professional-Education-2019.pdf). ადგილობრივ თვითმმართველობაში მომუშავე ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ სულ მცირე ორჯერ გაიარა საარჩევნო კამპანია, მაგრამ იმის გამო, რო კაცების ქსელი უფრო ძლიერია, ორჯერვე მეორე ადგილზე გავიდა.

როდესაც ქალებს აქვთ განათლების მიღების შესაძლებლობა და იღებენ კიდეც, ქვეყანაც უფრო ძლიერი და ამავდროულად ძლიერიცაა.

3.1 ქალთა ჩართულობის სამართლებრივი საფუძლები საქართველოში.

თვითმმართველობის კოდექსი , კანონი „ქალისა და კაცის თანასწორობის შესახებ“ და სხვა აქტები წარმოადგენენ გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის სამართლებრივ საფუძვლებს.

საქართველოში ქალების ჩართულობის ხელშეწყობის სამართლებრივი ჩარჩო კონსტიტუციით იწყება. კონსტიტუციის მე-11 მუხლის თანახმად, ყველა ადამიანი კანონის წინაშე არის თანასწორი და სახელმწიფოც ვალდებულია უზრუნველყოს გენდერული თანასწორობა.

2006 წელს მიღებულ იქნა „გენდერული თანასწორობის შესახებ კანონი“, რომელმაც სახელმწიფოს ვალდებულება დაადგინა, განეხორციელებინა გენდერული ანალიზი და შეექმნა როგორც ქალებისათვის, ასევე მამაკაცებისთვისაც თანასწორი გარემო. ასევე, კანონში განსაზღვრულია გენდერული კვოტირების შესაძლებლობაც, რომელიც საარჩევნო კოდექსშიც აისახა.

მნიშვნელოვანია 2010 წელს მიღებული „ ქალთა მიმართ ძალადობის აღკვეთის შესახებ კანონი“ და 2017წლის საკანონმდებლო პაკეტი, რომლის მიზანიცაა ოჯახში ძალადობის პრევენცია და ქალების დაცვა.

კვოტირების კუთხით პირველი ნაბიჯები საქართველოში გადაიდგა

2011წელს,რომლის მიხედვითაც, ის პარტია მიიღებდა საბაზრო დაფინანსების დამატებით 10%-იან დანამატს, რომელსაც პროპორციულ საარჩევნო სიის ყოველ ათეულში ორი ქალი მაინც იქნებოდა. 2017წლის 12 ივნისს ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის სამუშაო ჯგუფმა პარლამენტში შეიტანა კანონპროექტი, რომლის მიღებისა და დამტკიცების შემთხვევაშიც პარტია ვალდებული იქნებოდა ყოველი მეორე სიაში განსხვავებული სქესის ყოფილიყო. 2022 წელს კი უკვე საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა სავალდებულო გენდერული კვოტები. მართალია, ის შემდგომში გაუქმდა, თუმცა მაინც გადამწყვეტი მნიშნელობა აქვს იმას, რომ საზოგადოებამ გაიაზრა ქალების როლი და მათი მნიშვნელობა პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისა და მონაწილეობის პროცესში.

ერთ-ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია 2016წელს თვითმმართველობის კოდექსში და გენდერული თანასწორობის შესახებ კანონში შეტანილი ცვლილება, რომლის მიხედვითაც სავალდებულო გახდა მუნიციპალიტეტებს ჰქონოდათ გენდერული საბჭოები, რაც თავისთავად უზრუნველყოფს ქალების გაძლიერებას, ზრუნავს ჩართულნი იყვნენ პოლიტიკურ პროცესებში, დაინტერესონ ისინი და დაიცვან მათი მონაწილეობაც.

გარდამტეხი როლი შეასრულა 2018 წელს 28ოქტომბერს საპრეზიდენტო არჩევნებმა, როდესაც საქართველოს ისტორიაში პირველად ქალი პრეზიდენტი აირჩა. სალომე ზურაბიშვილმა მიიღო 38.64% ამომრჩეველთა ხმებისა. ეს ერთგვარად სტიმული უნდა გამხდარიყო, რომ მეტ ქალს მიეღო პოლიტიკურ გადაწყვეტილებებში მონაწილეობა, მაგრამ მათ სხვადასხვა წინაღობის გადალახვა უწევთ. ეს ბარიერები მრავალმხრივია, როგორც კულტურულ-სოციალური, ასევე ინსტიტუციური . პირველ მათგანში მოიაზრება საზოგადოებაში გავრცელებული სტერეოტიპები, ოჯახისადმი ქალის ვალდებულების პრიორიტეტიზაცია, ხოლო ინსტიტუციური ბარიერები მოიცავს როგორც პოლიტიკური რესურსების შეზღუდულ ხელმისაწვდომობას, ასევე სტრუქტურების დახურულობასაც.

ამ ფონზე კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არასამთავრობო და სახელმწიფო პროგრამების შეფასება, რომლებიც ქალების გაძლიერებას ისახავს მიზნად.ეს შეიძლება იყოს წარმოდგენილი ლიდერობის კურსებით, ტრენინგებით, საინფორმაციო

კამპანიებითა და მონაწილეობის წახალისებით. კვლევაში მონაწილე რამდენიმე რესპონდენტმა აღნიშნა, რომ განსაკუთრებით ბოლო წლებში გაიზარდა ქალების მხარდაჭერის პროგრამების რიცხვი. მაგალითად, რუსთავის საკრებულოს ერთ-ერთმა წევრმა გამოკვეთა არასამთავრობო ორგანიზაციების როლი ქალთა გაძლიერების საკითში ლიდერობის ტრენინგის კუთხით.

მიუხედავად ამგვარი გამოწვევებისა და შემაფერხებელი ფაქტორებისა, მაინც აღინიშნება პოზიტიური ტენდეციებიც. როგორიცაა პოლიტიკური , დაინტერესება ახალგაზრდებში, თანდათან ყალიბდება ცნობიერებაც გენდერული ბალანსის მნიშვნელობაზეც, მაგრამ აუცილებელია სისტემური მხარდაჭერა მდგრადი ცვლილებისათვის.

3.2 სტრუქტურული, კულტურული და ინსტიტუციური ბარიერები ქალების ადგილობრივ პოლიტიკაში ჩართულობისთვის.

ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა და ჩართულობა პოლიტიკურ გადაწყვეტილებების პროცესში საქართველოში მოიცავს მრავალ ასპექტს. ეს ასპექტები კი არაერთი სირთულითაა მოცული. პირველ რიგში ესაა როგორც სტრუქტურული, ისე კულტურული და ინსტიტუციური ბარიერები. ყველაზე კარგად კი მოცემული წინაღობები ვლინდება საქართველოს ორი მუნიციპალიტეტის- რუსთავისა და გარდაბნის მაგალითებზე.

რესპონდენტების თქმით, მთავარ ბარიერებს წარმოადგენს : კადრების შერჩევის არაგამჭირვალე პროცესი, პატრიარქალური კულტურა, უნდობლობა ქალთა ლიდერობის მიმართ და სამუშაო მოთხოვნებთან ქალების ოჯახური ვალდებულებების შეუსაბამობა.

კონკრეტულად რომ განვიხილოთ, სტრუქტურულ ბარიერებში იგულისხმება ქალთა შეზღუდული წვდომა რესურსებზე. ასევე ფინანსური მხარდაჭერა და პარტიული იერარქია. რესპონდენტების ნაწილმა აღნიშნა, რომ ადგილობრივ თვითმმართველობებში ქალების წარდგენა კანდიდატურებად უმეტესად ფორმალური ხასიათისაა და პარტიების მხრიდან არ ახლავს მხარდაჭერა.

რესპონდენტი 1(35 წლის) აღნიშნავს, რომ მართალია პარტია ხელს უჭერს ქალ კანდიდატებს, მაგრამ უფრო მეტად სიმბოლურია და გადაწყვეტილებების პროცესშიც

არ მონაწილეობენ.

რუსთავის მერმა, ქალბატონმა ნინო ლაცაბიძემ გვითხრა, რომ მისი კარიერული წინსვლის დროს, ერთ-ერთ მთავარ ბარიერს წარმოადგენდა დაბალი ფინანსური მხარდაჭერა საარჩევნო კამპანიის დროს. მის მიმართ საზოგადოებაშიც ვრცელდებოდა ხმები, რომ მამა ეხმარებოდა როგორც ფინანსურად, ასევე თანამდებობის დაკავებაშიც, თუმცა მან საქმით დაამტკიცა რომ ასე არ ყოფილა.

გარდაბანშიც, გენდერული თანასწორობის საბჭოს თავჯდომარე თამარ ხაჩიძე აღნიშნავს, რომ ქალთა კამპანიებისთვის უფრო ნაკლები ბიუჯეტია გამოყოფილი ყოველთვის, ვიდრე კაცების შემთხვევაში.

რაც შეეხებათ კულტურულ ბარიერებს, ეს ფაქტორიც კვლავ მნიშნელოვნად განაპირობებს ადგილობრივ თვითმმართველობებში ქალთა მონაწილეობის დაბალ მაჩვენებელს. პირველ რიგში ეს გამოიხატება ტრადიციული სქესობრივი როლების გაანალიზებაში, პოლიტიკა კვლავ „მამაკაცურ საქმიანობად“ მიიჩნევა. საკრებულოს ერთ-ერთმა წევრმა რესპონდენტმა 3-მა (26წლის) აღნიშნა, რომ ოჯახისაგან მისი პოლიტიკური აქტივობა არ იყო მხარდაჭერილი, არ აღიქმებოდა სერიოზულად, თითქოს ფუჭად ხარჯავდა დროს, თუმცა კაცების შემთხვევაში ასე არ ფიქრობენ.

Norris და Inglehart (2001) ნათლად ასახავენ გლობალურ დონეზე პრობლემებს, ტრადიციული როლები და კულტურული ღირებულებები ქალების პოლიტიკურ ლიდერობაში კვლავ უმთავრეს ბარიერად რჩება. (Norris & Inglehart, 2001, p. 133).

ქალთა ადგილობრივ თვითმმართველობებში პოლიტიკური ჩართულობის ხარისხის ანალიზისას რუსთავისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტებში, წარმოაჩინა რამდენიმე მნიშვნელოვანი ინსტიტუციური ბარიერი, რაც კიდევ უფრო მეტად აფერხებს ქალთა სრულფასოვან ჩართულობას პოლიტიკურ გადაწყვეტილებების პროცესში.

პირველ რიგში ეს გამოიხატა საკადრო გადაწყვეტილებების გაუმჭვირვალობაში. ინტერვიუების მეშვეობით გამოიკვეთა, რომ ქალტა პოლიტიკური მონაწილეობა უმეტესად დაკავშირებულია ფორმალურ და არაფორმალურ კავშირებზე, ვიდრე ღია კონკურსზე. რესპონდენტი 5 (39 წლის) აღნიშნავს, რომ კანდიდატურის შერჩევასა და დანიშვნაში უპირატესობა არსებულ „ფავორიტებს“ ენიჭებათ.

ინსტიტუციური ბარიერები ასევე აისახება პარტიული სტრუქტურების ცენტრალიზაციასა და ფორმალიზმში. ქალი რესპონდენტების უმრავლესობამ გარდაბანში აღნიშნა, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესებში კონცენტრაცია ძირითადად პარტიის ცენტრალურ რგოლებზე კეთდება. ინიციატივების დამოუკიდებლად განხორციელება შეზღუდულია, როგორც თვით გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ყოფილი წევრი ამბობს: ადგილობრივი წევრები უფრო ტექნიკურ საკითხებზე ვმუშაობდით, ხოლო ცენტრი იღებდა უკვე სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს. (რესპოდენტი 7, 45 წლის).

ადგილობრივ თვითმმართველობებში პოლიტიკური მონაწილეობის დროს საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბიუროკრატიულ მექანიზმებსაც. არსებული მექანიზმები აფერხებენ თვითმმართველობებში არსებულ პროცედურებს. მაგალითად, ხშირად საკრებულოს სხდომების განრიგი ქალების შრომისა და ოჯახის პასუხისმგებლობებს არ შეესაბამება. აღსანიშნავია პროფესიული განვითარების კუთხითაც არასაკმარისი მხარდაჭერა. იშვიატად ტარდება მენტორობისა და ტრენინგების პროგრამები. უმეტესად მსგავსი განმავითარებელი პროგრამები რუსთავში ტარდება, ხოლო გარდაბანში რესპონდენტი 8-ის მიერ როგორც ირკვევა, ან არსებობს მსგავსი ტრენინგები, ან კიდევ არაა ადაპტირებული ადგილობრივი პოლიტიკური კონტექსტისთვის.

3.3 საზოგადოების დამოკიდებულება ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის შესახებ

საქართველოში ქალების პოლიტიკური ჩართულობის ფორმირება მჭიდროდაა დაკავშირებული გენდერულ წარმოდგენებთან და საზოგადოების ღირებულებებთან. მიუხედავად ბოლო წლებში არსებული პროგრესისა, საზოგადოებაში მაინც არსებობს სტერეოტიპები, რომლებიც ამკვიდრებენ ქალების როლს ოჯახურ სივრცეში. ლელა გაფრინდაშვილის აზრით, სტერეოტიპები გვხვდება ყველა სფეროში. მართალია, საკითხის გააქტიურებამ შედარებით დააუძლურა ეს სტერეოტიპები, მაგრამ მაინც ახდენს ზემოქმედებას პროფესიის არჩევის დროს. პოლიტიკა კვლავ მამაკაცურ სფეროდ განიხილება და „ქალებს უწევთ არჩევანის გაკეთება ისეთ კარიერებს შორის, რომელიც არ მოითხოვს მთელ თავიანთ დროს“. (გაფრინდაშილი, 2025)

საზოგადოების აზრს დიდი წვლილი მიუძღვის იმ გარემოს ფორმირებაში, სადაც ქალები პოლიტიკურ თვითრეალიზაციას ცდილობენ. ქალბატონი მირანდა მიქაძის აზრით, გენდერული სტერეოტიპები ხშირად მნიშვნელოვან შემზღუდავ როლს თამაშობენ ქალთა პოლიტიკური საქმიანობის პროცესში. ეს შეიძლება ღიად იყოს გამოხატული, ან არაერთ შემთხვევაში ფარულადაც.

კვლევამ აჩვენა, რომ საზოგადოების ნაწილი კვლავ არაა მზად აღიქვან ქალები პოლიტიკურ ლიდერებად, განსკაუთრებით კი ადგილობრივ დონეზე. UN Women-ის 2020წლის მონაცემებით ადგილობრივ დონეზე ტრადიციული გენდერული როლები უფრო მტკიცედაა დაცული(UN Women,2020). ქალ კანდიდატებს უწევთ პირადი ცხოვრების, ოჯახური სტატუსის და თუნდაც გარეგნობის განხილვა, ნაცვლად იმ საკითხებისა, რომლებიც მათ პოლიტიკურ პროგრამაში არის წარმოდგენილი.

„ქალები ვერ აკეთებენ სერიოზულ პოლიტიკურ ბიოგრაფიას“(ინტერვიუ ექსპერტთან, სოციოლოგი ლელა გაფრინდაშვილი) . რესპონდენტის აზრით, მათი საქმიანობა ხშირად არ აღიქმება სერიოზულად საზოგადოების და პოლიტიკური მოღვაწეების მხრიდან. გარდაბნის საკრებულოს წევრის თამარ ხაჩიძის თქმითაც, ჯერ კიდევ კითხვის გამომწვევია ქალების პოლიტიკაში ყოფნა, თითქოს ისინი არა პოლიტიკით არიან დაინტერესებულები, არამედ დაუფლებას ცდილობენ.
ამავე აზრს ადასტურებს კვლევის კიდევ ერთი ექსპერტიც, რომელიც ამბობს, რომ ქალები კი გვხვდებიან მმართველ პოზიციებზე, მაგრამ მათი რეალური მონაწილეობა მაინც შეზღუდულია კულტურული, პარტიული და ინსტიტუციური ფაქტორებით.(მიქაძე, 2025). საზოგადოების მხრიდან კი ამგვარი დამოკიდებულება ქალებს უქმნით მნიშვნელოვან ბარიერს ფსიქოლოგიური თვალსაზრისით.

მიუხედავად მოცემული გამოწვევებისა, საზოგადოებაში ნათლად ხდება შესამჩნევი პროგრესიც. პირველ რიგში განათლების კუთხით, როგორც თემის ექსპერტი ქალბატონი მირანდა მიქაძე აღნიშნავს, პოლიტიკურმა პარტიებმა ნელ-ნელა დაიწყეს გააზრება, რომ ქალთა ჩართულობა მნიშვნელოვანია. არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიის და საერთშორისო სექტორების ჩართულობით თემა მეტად აქტუალური და მგრძნობიარე ხდება. კვლევებიც ადასტურებს, რომ ქალების ლიდერობისადმი დამოკიდებულება ახალგაზრდებს შორის მეტად პოზიტიურია, რაც ახალ თაობაში

ქმნის ღირებულებითი გარდატეხის საფუძველს. (National Democratic Institute, 2021).

მესამე თავში განხილული იყო საქართველოში ქალების პოლიტიკური ჩართულობა, როგორც სამართლებრივი ჩარჩოს მეშვეობით, ასევე პრაქტიკული გამოცდილებებითა და ბარიერებით. უმნიშვნელოვანესია თავდაპირველი ყურადღება გავამახვილოთ იმ სამართლებრივ დოკუმენტებსა და მექანიზმებზე, რომლებიც ისახავენ მიზნად გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფას. მიუხედავად იმისა, რომ მათ ეფექტურობაზე შეგვიძლია ვიდავოთ, მაინც მნიშვნელოვანი მიღწევებია. თუნდაც გენდერული კვოტირების სისტემა საქართველოში, რომელიც გაუქმდა , მაგრამ რომ გაგრძელებულიყო რამდენიმე წელი, საზოგადოებაში ჩამოყალიბდებოდა ერთგვარ ჩვევად და მოთხოვნად, რომ ქალები ყოფილიყვნენ პოლიტიკაში ჩართულები. აღარ იქნებოდა ხელოვნურად ზრდა ქალთა რაოდენობისა.

მეორე ქვეთავი ეთმობა სტრუქტურულ, კულტურულ და ინსტიტუციურ ბარიერებს, რომლებიც ზღუდავენ ქალთა პოლიტიკურ მონაწილეობას. ეს წინაღობები მოიცავს წამყვან პოზიციაზე წვდომის ნაკლებობას, დაბალ ეკონომიკურ შესაძლებლობებსა და პატრიარქალურ ნორმებს.

რაც შეეხება მესამე ქვეთავს, ის უკვე აანალიზებს საზოგადოების დამოკიდებულებას ქალების ლიდერული და პოლიტიკური ჩართულობის შესახებ. მართალია, საზოგადოების ნაწილი მაინც თვლის, რომ პოლიტიკა მამაკაცური სფეროა, მაინც რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ ქალების მონაწილეობის გარეშე საქართველოში პოლიტიკური ცხოვრება არ გაჯანსაღდება. ქალბატონი ლელა თვლის, რომ ჩვენს ქვეყანაში პოლიტიკური ცხოვრება მანკიერია და ქალების მონაწილეობა უფრო ჰუმანურს და დემოკრატიულს გახდის.

მართალია, ქალები ელოდებიან იდეალურ პირობებს: საკმარის გამოცდილებას, განათლებასა და ფინანსებს, მაგრამ „სინამდვილეში პოლიტიკაში ხშირად წარმატებული ხდება ის, ვინც გარისკა, იბრძოლა და გზად განიცადა წარუმატებლობა“ (კვლევის ექსპერტი, ლექტორი მირანდა მიქაძე). ამიტომ უნდა გააქტიურდნენ ქალები, არ შეუშინდნენ ბარიერებსა და საზოგადოების შეხედულებას .

თავი IV- ადგილობრივი თვითმმართველობების პრაქტიკა ქალთა

პოლიტიკურ მონაწილეობაში(რუსთავისა და გარდაბნის ანალიზი)

ქალების პოლიტიკური ჩართულობის საკითხში განსაკუთრებით საინტერესოა კონკრეტულად ადგილობრივი თვითმმართველობები, ვინაიდან მათში ქალთა მონაწილეობა პირდაპირ კავშირშია იმ პროცესებთან, რაც დემოკრატიის გაღრმავებისათვისაა საჭირო .

ადგილობრივი თვითმმართველობები უშუალოდ ეხება მოქალაქეების ყოფას, შესაბამისად ამ დონეზე ქალთა მონაწილეობა პოლიტიკურ გადაწყვეტილებებში გენდერულად სენსიტიური პოლიტიკის ფორმირებისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი გახლავთ.

ჩემი კვლევისათვის მივიჩნიე, საინტერესო იქნებოდა რუსთავისა და გარდაბნის მაგალითები, ვინაიდან რამდენიმე ფაქტორითაა განპირობებული. პირველ რიგში ეთნიკური მრავალფეროვნების საკითხია. გარდაბანი წარმოადგენს ეთნიკურად მრავალფეროვან მუნიციპალიტეტს. მათ შორისაა წარმოდგენილი აზერბაიჯანული თემი, რაც ჩემს კვლევას საშუალებას აძლევს გავითვალისწინოთ ის ენობრივი და კულტურული ბარიერები, რომლებიც ზემოქმედებენ ქალთა პოლიტიკურ მონაწილეობაზე.

ამასთანავე, გასათვალისწინებელია ქალაქისა და სოფლის განსხვავებული გამოწვევები. რუსთავი არის ქალაქი ინდუსტრიული წარსულით, შედარებით ურბანული პოლიტიკით, ხოლო რა შეეხება გარდაბანს, ის გამოირჩევა სოფლის მოსახლეობის დიდი წილით . ამ ორ სივრცეში არსებული ქალების პოლიტიკური აქტივობების შედარება დამეხმარება გავიგო, თუ როგორ მოქმედებს გარემო ქალების პოლიტიკურ ჩართულობაზე.

4.1 ქალების წარმომადგენლობა რუსთავსა და გარდაბნის ადგილობრივ თვითმმართველობებში

რუსთავისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტებში ქალების წარმომადგენლობა საკმაოდ გაიზარდა, მაგრამ რასაც გენდერული თანასწორობის საერთაშორისო სტანდარტები მოითხოვს, მასთან შედარებით კვლავ დაბალია. მაგალითად ცენტრალური საარჩევნო

კომისიის 2021წლის მონაცემების მიხედვით ადგილობრივ თვითმმართველობის არჩევნების შედეგად ქალთა წილი რუსთავის საკრებულოში 25% პროცენტი იყო, რაც საქართველოს საშუალო მაჩვენებელზე, რომელიც 22%-ია, შედარებით მაღალი გახლდათ. რაც შეეხება გარდაბნის მუნიციპალიტეტს ეს მაჩვენებლი კიდევ უფრო დაბალია და 16%-ს შეადგენდა.

ცხრილი N1 ქალების წარმომადგენლობა ადგილობრივ თვითმმართველობებში(2021)

მუნიციპალიტეტი	**ქალების წარმომადგენლობა(%)**
რუსთავი	**25%**
გარდაბანი	**16%**

ავტორი: ნინო გოგოლაძე

4.2 რუსთავისა და გარდაბნის ადგილობრივი თვითმმართველობების კომპარტიული ანალიზი

რუსთავი, როგორც აღვნიშნე, ურბანული და მრეწველობაზე დაფუძნებული ქალაქია, რომელიც გამოირჩევა განათლების შედარებითი მაღალი დონითა და სამოქალაქო აქტივობებით . რუსთავის ადგილობრივი თვითმმართველობა შედგება მერიისაგან და საკრებულოსგან. ბოლო წლების განმავლობაში თვითმმართველობის საკრებულოში ქალების წარმომადგენლობა გაიზარდა, რაც ნაწილობრივ არასამთავრობო სექტორის აქტიურობითა და მოსახლეობის მოთხოვნითაც არის განპირობებული. მაგალითად, 2021 წლის ადგილობრივი არჩევნების შემდეგ რუსთავის საკრებულოში ქალი წევრების რაოდენობა აღემატებოდა 30%-ს. სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით რუსთავში უფრო მაღალი მაჩვენებელია ქალების პოლიტიკურ პროცესებში ჩართულობის. საკრებულოს 35 წევრიდან 11ქალია. უნდა აღვნიშნოთ განსხვავება მერიის დონეზეც. აქამდე რუსთავში ქალი მერი არ ყოფილა. კაცი მერები უმეტესწილად ამახვილებდნენ ყურადღებას სპორტის განვითარებაზე, მაგრამ ისეთი პრობლემები შეუმჩნეველი რჩებოდა, როგორიცაა მაგალითად წყლის რეგურალური დაწყვეტა. ეს დისკომფორტს წარმოადგენს ნებისმიერი ქალისათვის და მაცხოვრებლისათვის, რადგან არაერთი საოჯახო საქმე აქვთ. მას შემდეგ, რაც მერი გახდა ქალი- ნინო ლაცაბიძე, მაშინვე მოგვარდა წყლის პრობლემა, დაიწყო გზების რეაბილიტაცია, დიდი ყურადღება მიაქცია ახალგაზრდული და მოწესრიგებული სკვერების მშენებლობას. მისი მერად არჩევის

შემდეგ, საგრძნობლად მოიმატა ქალების პოლიტიკურმა დაინტერესებამ. არაერთი ახალგაზრდა ქალი ჩაერთო მერიის სტაჟირებაში, ახალგაზრდული სივრცის მშენებლობაში. გამოკითხული რესპონდენტების თქმითაც, რუსთავში არსებობს ქალების არაერთი ჯგუფი,რომელიც მონაწილეობს როგორც სამოქალაქო აქტივობებში, ასევე არჩევნებში.

კვლევის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუებიდან გამოვლინდა,რომ ქალების მოტივაცია პოლიტიკაში ჩართულობისათვის ხშირად დამოკიდებულია პირად გამოცდილებაზე. მათ აქვთ სურვილი შეცვალონ არსებული ინფრასტუქტურული და სოციალური პრობლემები. რესპონდენტების ნაწილმა აღნიშნა ისიც, რომ ქალ პოლიტიკოსებს უფრო მაღალი ნდობა აქვთ თემში, ვიდრე კაცებს. განსაკუთრებით ეს აისახება საგანმანათლებლო და სოციალური საკითების გადაწყვეტისას, როგორც ნინო ლაცაბიძის შემთხვევაშიც.

რუსთავის მერი აღნიშნავს, რომ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს თვით პოლიტიკური პარტიების შიგნით არსებული გენდერული დისბალანსი. ქალების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს ფორმალური სახე უფრო აქვთ და რეალური ძალაუფლება მაინც კაცების ხელშია. საზოგადოების მხრიდანაც მარგინალიზებულია, ვინაიდან როდესაც კაცი ხდება მერი ან რაიმე თანამდებობის პირი, მას თავისი შრომის, განათლებისა და მიღწევის შედეგად თვლიან, მაგრამ როდესაც ქალბატონი ნინო გახდა ამავე თვისებებით, მასზე მაინც გავრცელდა საზოგადოებაში ხმა, რომ მამამისის წყალობითა და დახმარებით შეძლო თანამდებობის მოპოვება.

საკრებულოს ერთ-ერთმა წევრმა აღნიშნა ისიც , რომ „ოჯახის მხარდაჭერის გარეშე რთული იქნებოდა მონაწილეობა. პოლიტიკური ცხოვრება ქალისთვის ბევრ მსხვერპლს ნიშნავს“. (რესპონდენტი N9, 2025)

რაც შეეხება გარდაბანს, იგი არის სოფლის მეურნეობაზე ორიენტირებული მუნიციპალიტეტი. ამ შემთხვევაში უფრო ძლიერი ხასიათით წარმოდგენილია ტრადიციული სოციო-კულტურული ნორმები. ქალების პოლიტიკური მონაწილეობა გარდაბნის მუნიციპალიტეტში უფრო დაბალია და ხშირია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც კანდიდატებად ქალებს მხოლოდ ფორმალურად არეგისტრირებენ. მიუხედავად ამ ყველაფრისა, ბოლო პერიოდში განსაკუთრებით კი ახალგაზრდული

მიმართულებით დაიწყო წარმატებული ქალთა ინიციატივები. ერთ-ერთი კარგი მაგალითია გენდერული საბჭოს შექმნა, რომლის თავჯოდმარემაც განგვიცხადა, რომ ოჯახისა და თემისაგან მხარდაჭერა არ აქვთ, არ აძლევენ საშუალებას კენჭი იყარონ ან გააგრძელონ თანამდებობეზე მუშაობა. განსაკუთრებით შესამჩნევია ეთნიკური უმცირესობების თემებში.

ინტერვიუებიდან გამოვლინდა,რომ ქალთა მოტივაცია პოლიტიკაში მონაწილეობისათვის უმეტესად პირად გამოცდილებაზე არის დაფუძნებული. პირველ რიგში მათ აქვთ სურვილი შეცვალონ არსებული ინფრასტრუქტურული და სოციალური პრობლემები. რუსთავის მერიაში რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ ხშირ შემთხვევებში ქალ პოლიტიკოსებს უფრო მეტი ნდობა აქვთ, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც საქმე საგანმანათლებლო და სოციალური საკითხების გადაწყვეტას ეხება.

ქალების პოლიტიკურ გადაწყვეტილებების პროცესში მონაწილეობის თვალსაზრისით ანალიზი აჩვენებს საერთო, საინტერესო ტენდენციებს. მიუხედავად იმისა, რომ ორივე ერთსა და იმავე რეგიონშია, ქვემო ქართლში მდებარეობს, მაინც შეინიშნება განსხვავებები როგორც პოლიტიკურ კულტურაში, ასევე სოციალურ სტრუქტურებშიც. ორივე მუნიციპალიტეტის რესპონდენტები ამბობენ, რომ მთავარი ბარიერი მაინც პარტიულ სტრუქტურებში არსებულ სქესობრივ იერარქიაზეა. რუსთავის შემთხვევაში ასახელებენ შესაძლებლობების სიმცირეს, ხოლო რაც შეეხება გარდაბანს- მხარდაჭერის ნაკლებობაა როგორც ოჯახის, ასევე საზოგადოების მხრიდანაც. აღსანიშნავია ისიც, რომ რუსთავში უფრო მეტად ხაზგასმული რესპონდენტების მხრიდან პროფესიული განვითარებაა და ოჯახურ წინააღმდეგობას ნაკლებად ასახელებენ, ხოლო გარდაბანში დაბალი საზოგადოებრივი მხარდაჭერაა და ოჯახური როლი მეტად პრიორიტეტულია, რაც ხშირ შემთხვევებში არ აძლევს ქალებს საშუალებას ჩაერთონ პოლიტიკაში.

მეოთხე თავი განიხილავდა ქალთა პოლიტიკურ ჩართულობას ადგილობრივ დონეზე რუსთავისა და გარდაბნის თვითმმართველობების მაგალითზე. პირველ ქვეთავში გაანალიზებული მქონდა ამ ორ მუნიციპალიტეტში ქალების წარმომადგენლობა. სამწუხაროდ, უშუალოდ რამდენი ქალია არჩეული პუბლიკაციებში ნაკლებადაა ასახული, ასევე საჯაროდ არსებულ წყაროებშიც როგორც ქართულ, ასევე ინგლისურში,

დეტალური სქესით გამოყოფილი მონაცემები არაა თავმოყრილი. 2021წლის შემდეგ აღარ მოგვეპოვება ზუსტი რაოდენობა და რესპონდენტებისგანაც შესაბამისად სწორი, რელევანტური პასუხი არ გვაქვს, მაგრამ 2021წლის მონაცემების სტატისტიკა მაინც მოვახდინე. რუსთავის მერიასა და საკრებულოში ქალების ჩართულობის წილი შედარებით მაღალია, რაც ადგილობრივი სამოქალაქო სექტორის აქტიურობისა და გენდერული კვოტების დამსახურებაცაა. (UN Women, 2021). გარდაბანს რაც შეეხება, აქ შედარებით დაბალია, რაც სუსტი პარტიული მხარდაჭერისა და ტრადიციული საზოგადოების დამსახურებაა.

მეორე ქვეთავში განხილულია რუსთავისა და გარდაბნის ადგილობრივი თვითმმართველობების კომპარტიული ანალიზი, ინტერვიუების შედარება, რომ კარგად დაგვენახა რა ბარიერები და ხელშემწყობი ფაქტორები გამოიკვეთებოდა. ანალიზის შედეგად აღმოჩნდა, რომ რუსთავი უფრო მეტად ახორციელებს გენდერული თანასწორობის მხარდაჭერას, თუნდაც არსებული გენდერული მრჩევლებისა და გენდერული კომისიების არსებობით(Rustavi Municipality,2023), რაც გარდაბანში ან არ არის, ან ნაკლებად განვითარებულია. (NDI, 2022).

ამგვარად, მეოთხე თავმა გამოკვეთა განსხვავებები ამ ორ მუნიციპალიტეტს შორის ქალების პოლიტიკური მონაწილეობის კუთხით და დაგვანახა, რამდენად მნიშვნელოვანია ქალების მონაწილეობა და სტრუქტურულ-ინსტიტუციური მიდგომები გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად.

დასკვნა

პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობისას ქალები არაერთ ბარიერს აწყდებიან, რაც თავისთავად წარმოადგენს პრობლემას როგორც ქვეყნის, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობების დონეზე რეგიონის განვითარებისათვის.

მოცემული ნაშრომის მიზანი იყო მომხდარიყო რუსთავისა და გარდაბნის ადგილობრივ თვითმმართველობებში ქალთა ჩართულობის ხარისხისა და ფორმების გაანალიზება. მიღებულმა მონაცემემა დაადასტურა დაშვება, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში წინასთან შედარებით გაიზარდა ქალების რიცხოვნობა ადგილობრივ თვითმმართველობებში, მათი მონაწილეობა კვლავ დაბალია, რაც განპირობებულია ინსტიტუციური, კულტურული და სტრუქტურული ბარიერებით.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ გარდაბანსა და რუსთავში ქალების პოლიტიკური ჩართულობა განსხვავებულია სტრუქტურული და ხარისხობრივი ნიშნებით. მიუხედავად კვოტირების მექანიზმის დადებითი გავლენისა, აღმასრულებელ და მერობის პოზიციებზე მათი წარმომადგენლობა კვლავ მაინც უმნიშვნელოა.

სტატისტიკებისა და ინტერვიუების ანალიზმა აჩვენა, რომ ქალთა პოლიტიკაში ჩართულობის ძირითადი ბარიერებია:

-პოლიტიკური კარიერისა და ოჯახური პასუხისმგებლობების შეუთავსებლობა;

- საზოგადოებაში გავრცელებული სტერეოტიპები და კულტურული მოლოდინები;

- პარტიების მხრიდან გენდერულად არათანაბარი მხარდაჭერა.

მიუხედავად არსებული ბარიერებისა, საქართველოში ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა განვითარების ეტაპზეა, მაგრამ საჭიროებს კოორდინირებულ სახელმწიფო, სამოქალაქო და საერთაშორისო მხარდაჭერას. თეორიული ანალიზის მიხედვით, ქალების პოლიტიკური გაძლიერება , მხოლოდ წარმომადგენლობითი რაოდენობით არ განისაზღვრება, არამედ აუცილებელია მათი რეალური ჩართულობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში (Phillips, 1995, გვ84) .

რუსთავისა და გარდაბნის მაგალითებმა და კვლევამ ცხადყო, რომ ბოლო წლებში არსებული წინსვლის მიუხედავად არსებული მექანიზმები არაა საკმარისი სტრუქტურული, ინსტიტუციური და კულტურული ბარიერების დასაძლევად.

ქალთა პოლიტიკურ მონაწილეობაზე გავლენის მქონე ფაქტორების გაუმჯობესება მოითხოვს სისტემურ მიდგომას, რომელიც გააერთიანებს ეკონომიკურ გაძლიერებას, განათლებასა და კულტურულ ტრანსფორმაციას.

მოლოდინი, რომ ქალები ნაკლებად იქნებოდნენ გადაწყვეტილებების პროცესში ჩართულნი განსაკუთრებით გარდაბნის მუნიციპალიტეტში, ნაკლები იქნებოდა თვით პარტიის მხრიდანაც მხარდაჭერა და ქალი ლიდერებისათვის არათანაბარი პირობები იქნებოდა, ნაწილობრივ გამართლდა. მართლაც აღმოჩნდა, რომ ხშირად პარტიული პოლიტიკა ქალების მიმართ ფორმალურია და არ განაპირობებს მათ გაძლიერებას, მაგრამ რუსთავის მაგალითზე ეს ნაკლებად გამოიკვეთა, პირიქით განსაკუთრებით გააქტიურებულია რუსთავის მერია ქალთა ჩართულობის მხრივ, მაგრამ მის საპირისპიროდ ეს მოლოდინი გარდაბანში გამოჩნდა. ასევე მოლოდინი, რომ ქალები

დაასახელებდნენ ინსტიტუციურ, კულტურულ და სოციალურ ბარიერებს, მართლაც კვლევის დასასრულს დამაბრკოლებელ ფაქტორებად სწორედ ეს წინაღობები გამოიკვეთა.

თემაზე მუშაობისას შემხვდა არაერთი წინაღობა, რაც გამოიხატა იმაში, რომ მერიაში მომუშავე რესპონდენტები სულაც არ თვლიდნენ ბარიერად სტრუქტურულ პრობლემებს. კვლევას ართულებდა ადგილობრივ დონეზე მონაცემების სიმცირეც, განსაკუთრებით გარდაბანში ნაკლებადაა მონაცემები აღწერილი და დამუშავებული.

კარგი იქნებოდა, რომ მეტი რესპონდენტი მყოლოდა სხვადასხვა სტრუქტურებიდან, მხოლოდ გარდაბანსა და რუსთავზე არ შემერჩია ფოკუსი, ორის ნაცვლად მეტი ექსპერტი გამომეკითა, თუმცა რესპონდენტების მოპოვება რთული აღმოჩნდა. გარდა საკუთარი დროსა და რესურსებში შეზღუდულობისა, თვით ქალ პოლიტიკოსებთანაც დაკავშირება რთული აღმოჩნდა. ზოგი სკეპტიკურად იყო განწყობილი თემის მიმართ, ზოგს კი დრო არ ჰქონდა. ასევე რუსთავისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტებში 2021წლის არჩევნების შემდეგ მონაწილე ქალთა ზუსტი რაოდენობის მონაცემები არ მოიპოვება.

მიუხედავად წინაღობებისა, ნაკლოვანებებისა, ვფიქრობ, ჩემმა თემამ შესძინა სიახლე , რადგან დავინახე ქალების რეალური გამოცდილება პოლიტიკაში, მათი პირადი გამოცდილებები დაბრკოლებები და სტრატეგიები გავაანალიზე, ლოკალური მნიშვნელობაც გამოვკვეთე, რამაც მსგავსება-განსხვავებები გვანახა ადგილობრივ და ცენტრალურ დონეზე. შესაბამისად, კვლევამ მომცა პოლიტიკის მეცნიერებაში დამენახებინა რეკომენდაციები, რომლებიც გაუადვილებს ან შთააგონებს ქალებს მეტად ჩაერთონ, არ შეეშინდეთ გამოავლინონ თავიანთი პოლიტიკური შესაძლებლობა და ლიდერობა.

პრობლემის წინ წამოწევის, გააზრებისა და არაერთი კვლევების მიღმა, ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა მაინც რჩება პრობლემად, რაც ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისათვის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

ნაშრომი წარმოადგენდა მცდელობას სიღრმისეული კვლევის საფუძელზე წარმომედგინა და ამეხსნა თუ რა გამოწვევებს ხვდებიან ქალები ადგილობრივ დონეზე პოლიტიკურ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რატომაა მათი ჩართულობა

მნიშვნელოვანი და რა როლი აქვთ პოლიტიკურ ცხოვრებასა და ქვეყნის განვითარებაში. ვფიქრობ, მოცემული ნაშრომი მცირეოდენ წვლილს მაინც შეიტანს საკითხის კვლევაში და შემდგომ ამ თემით დაინტერესებულ პირებს მისცემს საშუალებას კვლევის შედეგები განავითარონ.

აღნიშნული პრობლემის მოგვარებისათვის კარგი საშუალება იქნება:

- **გენდერული კვოტირების მექანიზმის დაბრუნება** იქამდე მაინც, სანამ საზოგადოებაში ჩვეულებად არ ჩამოყალიბდება ქალების პოლიტიკაში მონაწილეობა;
- **ქალების პოლიტიკური განათლების გაძლიერება;** უნდა გაიზარდოს და გახდეს ხელმისაწვდომი ქალებისათვის სპეციალური ტრენინგები, რომლებიც მოამზადებენ მათ ადგილობრივ თვითმმართველობებში მონაწილეობისათვის.
- **რეგიონალური პროექტების განვითარება და ხელშეწყობა**, რომლებიც ქალთა პოლიტიკურ გაძლიერებას ისახავენ მიზნად;
- **მედიაში გენდერული სტერეოტიპების წინააღმდეგ მიმართული კამპანიები;**
- **პარტიებში გენდერული სენსიტიურობის ამაღლება**; პოლიტიკური პარტიები უნდა გახდნენ მეტად ღია და გამჭვირვალე ქალთა მხარდაჭერის საკითხებში.
- **კულტურული ცვლილებების წახალისება**. თემის დონეზე საჭიროა ქალების ლიდერობის პოზიტიური მაგალითების წარმოჩენა, რაც ხელს შეუწყობს სტერეოტიპების გადალახვაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

(NDI), N. D. (2021). *Public Attitudes in Georgia: Results of NDI Polls.* Retrieved from https://www.ndi.org/georgia

(NDI), N. D. (2022). *ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა საქართველოში.* თბილისი: თბილისი: ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი.

Bjarnegard, E & Zetterberg, P. (2016). *Political parties and gender quota implementation: The role of bureaucratized candidate selection processes.* Retrieved from https://doi.org/10.1177/0010414015609025

CEDAW. (1979). Convention on the Elimination of All Forms of Discrimination Against Women.

Celis, K., & Lovenduski, J. (2018). *Power, privilege and the politics of gender in the political science profession in Europe.* Retrieved from https://doi.org/10.1057/s41304-017-0130-0

Dahlerup, D. (2006). **Women, quotas and politics*. Routledge* .

Kantola, J. (2006). *Feminists Theorize the State. Palgrave Macmillan.*

Krook, M. L. (2009). **Quotas for women in politics: Gender and candidate selection reform worldwide*.* . Oxford University Press.

National Democratic Institute. (2022). *Women's Political Participation in Georgia: Local Government Perspective.*

Norris, P., & Inglehart, R. . (2001). *Cultural barriers to women's leadership: A worldwide comparison*.* Cambridge University Press.

Pateman, C. (1988). *The Sexual Contract.* Stanford University Press.

Phillips, A. (1995). *The Politics of Presence.* Oxford University Press.

(2023). *Rustavi Municipality. Annual Gender Equality Report.* მოპოვებული https://rustavi.gov.ge-დან

UN WOMEN . (2021). *Gender Equality in Local Governance in Georgia.*

UN WOMEN . (2021). *Women's Participation in Local Governance in Georgia.* Retrieved from https://georgia.unwomen.org

UN WOMEN. (2020). *Gender Equality in Georgia: Public Perceptions and Attitudes.* Retrieved from https://georgia.unwomen.org

UN WOMEN. (2020). *Women's Political Participation: Africa Barometer 2021.* Retrieved from https://www.unwomen.org/en/digital-

UN WOMEN. (2021). *Women's Participation in Local Governance in Georgia.*

UN Women, & National Democratic Institute. (2014). *Women's political participation in Georgia: Challenges and recommendations*.*

United Nations. (1979). *Convention on the Elimination of All Forms of Discrimination Against Women (CEDAW).*

ბატლერი, ჯ. (2006). *გენდერის პრობლემები.* თბილისი.

(2021). *გენდერული თანასწორობის საბჭო. ანგარიში გენდერული კვოტების შესახებ.* თბილისი: საქართველოს პარლამენტი.

(თ. გ.). *ინტერვიუ ექსპერტებთან და რუსთავი-გარდაბნის მუნიციპალიტეტების საჯარო მოხელეებთან.*

მჭედლიშვილი, ლ. (2018). *გენდერული წარმომადგენლობა ადგილობრივ თვითმმართველობაში – საქართველოს მაგალითზე.* თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ჯაფარიძე, თ., & ბარამიძე, ქ. (2020). *ქალების ჩართულობის ხელშეწყობა ადგილობრივ მმართველობაში: ქეისების ანალიზი რუსთავსა და გარდაბანში.* ქალთა ინიციატივების მხარდაჭერის ფონდი.

დანართი N1 ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუს კითხვარი რუსთავისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტების ინტერვიურებისათვის.

1)გთხოვთ გვიამბოთ თქვენს საქმიანობაზე რუსთავი/გარდაბნის მუნიციპალიტეტში- რამდენი ხანია მუშაობთ და რა პოზიციას იკავებთ?

2) როგორ შეაფასებდით ქალთა მონაწილეობას თქვენი მუნიციპალიტეტის თვითმმართელობაში ბოლო წლებში?

3) თქვენი დაკვირვებითა და გამოცდილებით, რა მთავარი ბარიერები ხვდებათ ქალებს პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში რუსთავში/ გარდაბანში?

4) თქვენი აზრით, როგორ მოქმედებს ადგილობრივი მოსახლეობის გენდერული სტერეოტიპები ქალთა პოლიტიკური გააქტიურების დონეზე?

5) შეგხვედრიათ თუ არა რაიმე კონკრეტული მაგალითი ქალისა, რომელმაც მოახერხა წარმატებული პოლიტიკური კარიერის შექმნა თქვენს მუნიციპალიტეტში, თუ კი, მაშინ რა დაეხმარა მას?

6) როგორც ვიცით, გარდაბანში განსაკუთრებულია ეთნიკური მრავალფეროვნება. რამდენად მოქმედებს ეს ფაქტორი ქალთა პოლიტიკურ ჩართულობაზე?

7) რამდენად არის განვითარებული მხარდაჭერის სისტემები, მაგალითად სამთავრობო თუ არასამთავრობო პროგრამები, ტრენინგები?

8) თქვენი აზრით, ადგილობრივი მედია რამდენად უწყობს ხელს ქალთა საჯარო აქტივობას?

9) გაქვთ თუ არა ინფორმაცია იმის შესახებ, განუცდიათ ქალებს პოლიტიკური საქმიანობის გამო ჩაგვრა, შეურაცხყოფა ან ზეწოლა?

10) ოჯახში ძალადობის პრობლემები რამდენად მოქმედებს ქალთა გადაწყვეტილებებზე , გახდნენ თუ არა საჯარო აქტორები?

11) რამდენად ეძლევათ საშუალება ქალებს თქვენი მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და აღმასრულებელ სტრუქტურებში ინიციატივის გამოჩენისა?

12) რა შეიძლება გაკეთდეს ადგილობრივ დონეზე, რომ მეტმა ქალმა შეძლოს რუსთავსა და გარდაბანში პოლიტიკური საქმიანობა?

13) რას ურჩევდით იმ ახალგაზრდა ქალებს მუნიციპალიტეტებიდან, რომლებსაც აქვთ სურვილი აქტიურად ჩაერთონ პოლიტიკურ პროცესებში?

14) რაიმეს ხომ არ დაამატებდით?

დანართი N2 ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუს კითხვარი ექსპერტთათვის.

1) როგორ ფიქრობთ რა როლს თამაშობს გენდერული სტერეოტიპები ქალთა პოლიტიკური საქმიანობის პროცესში?

2) თქვენი აზრით, რა ძირითად ბარიერებს აწყდებიან ქალები ადგილობრივ პოლიტიკაში ჩართვისას?

3) ჩაგვრა ან თუნდაც ფსიქოლოგიური ზეწოლა- ეს ფაქტორებიც ხო არ წარმოადგენს ბარიერს ქალებისათვის და თუ გაქვთ მოსაზრება ან მაგალითი ამ თემაზე?

4)რას იტყოდით საზოგადოებრივი მოლოდინები ქალის როლზე ოჯახსა და საზოგადოებაში- რამდენად ზღუდავს მათ პოლიტიკაში ჩართულობას?

5)როგორ უკავშირდება ოჯახში ძალადობის საკითხი ქალთა პოლიტიკურ აქტივობას?- პირდაპირია თუ არაპირდაპირი?

6)თქვენი დაკვირვებით, არსებობს თუ არა ისეთი შემთხვევები , როცა ქალთა მონაწილეობა ფორმალურია და გადაწყვეტილების მიღების ძალაუფლება რეალურად მამაკაცებთან რჩება?

7) თუ გაქვთ გამოცდილება, როგორია იმ ქალების რეალური მნიშვნელობა, რომლებიც უკვე ასრულებენ ხელმძღვანელ პოზიციებს ადგილობრივ თვითმმართველობებში?

8) თქვენი შეხედულებით, რამდენად ხელმისაწვდომია ქალებისათვის რესურსები, კავშირები, რაც მათი პოლიტიკური საქმიანობის განვითარებისათვის არის ხელშემწყობი?

9) როგორ შეაფასებდით არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საერთაშორისო პროექტების როლს ქალთა პოლიტიკური გააქტიურების შესახებ?

10)როგორ ხედავთ ქალთა როლის განვიტარებას ადგილობრივ თვითმმართველობებში ახლო მომავალში?

11)თუ გაქვთ რაიმე მოსაზრება, რა უნდა გაკეთდეს როგორც პოლიტიკური თვალსაზრისით, ასევე საზოგადოების მხრიდანაც, რომ შეიცვალოს ქალთა პოლიტიკურ გადაწყვეტილებების პროცესში ჩართულობის დაბალი მაჩვენებელი?

12) მიიჩნევთ თუ არა, რომ ბოლო წლებში შესამჩნევია პროგრესი ამ კუთხით და თუ კი, რაში გამოიხატება მაგალითად?

13) რას ურჩევდით ახალგაზრდა ქალებს, რომლებიც ფიქრობენ ადგილობრივ პოლიტიკაში მონაწილეობას?

14)რამეს ხომ არ დაამატებდით?